

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ინდ.მეწარმე
‘არტურ ბალასანიანს’ შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ.ახალციხე

.. 08 .. 10 .. 2013 წ.

ერთის მხრივ, სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) წარმოდგენილი რექტორის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ.მეწარმე ‘არტურ ბალასანიანი’ (შემდგომში – კლინიკა) წარმოდგენილი დირექტორის, ინდ.მეწარმე არტურ ბალასანიანის სახით, პროფესიული პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდგზე:

1. განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტების ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების დარგში, რისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის (‘კბილის ტექნიკოსი’) სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას კლინიკაში.
2. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.
3. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაცო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.
5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
6. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

ინდ.მეწარმე ‘არტურ ბალასანი’

რექტორი
სრული პროფესორი



დირექტორი

არტურ ბალასანიანი

